

ანოტაცია

რუზანა გუსეინოვი

სილიციუმის შემცველი N-β-D გლუკოპირანოზილამინის სინთეზი


ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ი.ჭავჭავაძის გამზ.3

ელ-ფოსტა: ruzana.guseinovi936@hum.tsu.edu.ge

ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების მიღების მიზნით, ჩვენს მიერ შემუშავებულ იქნა ახალი მეთოდი სილიციუმის შემცველი N-გლუკოზიდების სინთეზისთვის. სამკურნალო პრეპარატების მოდიფიკაციაში სილიციუმის ატომებმა შესაძლოა მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს, განსაკუთრებით მათ ქიმიურ მახასიათებლებსა და ბიოლოგიურ თვისებებში.

ჩვენ შევისწავლეთ N-გლუკოპირანოზილამინის ქლოროსილირების რეაქციები. N-(3-ტოლილ)-β-D-გლუკოპირანოზილამინის აცეტილირებით (1) მმარმჭავას ანჰიდრიდის თანაობისას პირიქის არეში მიღებულ იქნა N-(3-ტოლილ)-2,3,4,6-ტეტრა-O-აცეტილ-β-D-გლუკოპირანოზილამინი(2). ნაერთის (2) ქლოროსილირებით, ქლორდიმეთილვინილსილანის ურთიერთქმედებით თუთიის თანაობისას ოთახის ტემპერატურაზე, შესაბამისად მიღებულ იქნა N-(3-ტოლილ)-N-დიმეთილვინილსილილ-2,3,4,6-ტეტრა-O-აცეტილ-β-D-გლუკოპირანოზილამინი (3). რეაქციები ტარდება შემდეგი სქემის მიხედვით:



მიღებული ნაერთების სტრუქტურები დადგინდა ანალიზის ფიზიკურ-ქიმიური მეთოდებით (IR).